ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
VII მოწვევის საკრებულოს წევრის,
განათლებისა და კულტურის კომისიის
თავმჯდომარის, ისნის რაიონის მაჟორიტარის,
თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება –
დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრის
კახაბერ ლაბუჩიძის
2023-2024 წ.წ ანგარიში

ს ა რ ჩ ე ვ ი

კომისიის თავმჯდომარის მიმართვა 4

კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები (ზოგადი მიმოხილვა)..... 5

- კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის პროგრამა 5
- პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი“..... 6
- „ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის“ პროგრამა 7
- კულტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები 9

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის აქტივობა 14

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული სხდომების სტატისტიკა 14

კახაბერ ლაბუჩიძის, როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრის საქმიანობის ანგარიში 17

თბილისის საკრებულოს სხდომების სტატისტიკა 17

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა 18

ადრეული და სკოლამდელი განათლების ობიექტების მონიტორინგი 19

- სამგორი რაიონში N64 საბავშვო ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოების დათვალიერება..... 19
- N89 საბავშვო ბაგა-ბაღის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვალიერება..... 20
- ისნის რაიონში მდებარე N109 საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობის პროცესის დათვალიერება .21
- გლდანის რაიონის, ავჭალის დასახლებაში მდებარე N54 საბავშვო ბაღის განახლებულ ინფრასტრუქტურის დათვალიერება 22
- დიღმის მასივში მდებარე N19 საბავშვო ბაღის ახალი შენობის დათვალიერება 23
- საბურთალოს რაიონში მდებარე N211 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციის პროექტის გაცნობა-დათვალიერება 24
- ჩუღურეთის რაიონში მდებარე ახლად რეაბილიტირებული N2 საბავშვო ბაღის გახსნა 25
- ვაზისუბნის დასახლებაში ახლადაშენებული N124 საბავშვო ბაღის გახსნა..... 26
- ისნის რაიონში მდებარე ახლადგახსნილი N30 საბავშვო ბაღი დათვალიერება 27

სამუშაო ვიზიტი სომხეთის დედაქალაქ ერევანში 28

კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მონიტორინგი 29

- სამგორისა და კრწანისის საჯარო სკოლებში, N127 და N215 სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები..... 29
- მერაბ კოსტავას მემორიალურ სახლ-მუზეუმში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები 29
- დარეჯანის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები 31
- თბილისის 215-ე საჯარო სკოლის დათვალიერება..... 31

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები 32

- თბილისის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალის გახსნა..... 32
- „მეტი ინოვაცია და საზოგადოებრივი ჩართულობა თბილისის მუზეუმების გაერთიანებაში“ 33

▪ პრემია "ნაკადულის" დაჯილდოების ცერემონია 34
▪ ანსამბლ "შავნაბადას" მომზადებული თვითმასწავლებელი სამგალობლო კრებულების პრეზენტაცია 34
▪ „წლის მკითხველის“ დაჯილდოება 35
▪ სკოლის მოსწავლეების ვიზიტი საკრებულოში 36
▪ მშობლიური ენის საერთაშორისო დღე თბილისის საკრებულოში 37
▪ ოკუპაციის დღე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში 37
▪ ქალაქ პრაღის მეექვსე ოლქის დელეგაციის ვიზიტი....38
▪ სამუშაო შეხვედრა თბილისის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალის ორგანიზატორებთან და ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ხელმძღვანელებთან 39
▪ სკოლა-ლიცეუმის "პრომეთეს" მოსწავლეების ვიზიტი....39
საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონია....40
▪ თბილისში ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების ფოლკლორული ფესტივალის მონაწილეების დაჯილდოება 41
▪ სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრის 50 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება 41

მემორიალური დაფების გახსნის ღონისძიებები 42
▪ არამ ხაჩატურიანის მემორიალური დაფის გახსნა....42
▪ ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფის გახსნა....42
• იასონ ლორთქიფანიძის მემორიალური დაფის გახსნა....42

მემორიალური დაფები 43

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საბჭო და კომისიები 45

კორესპონდენცია და მოქალაქეთა მიღება 45

კახაბერ ლაბუჩიძის, როგორც ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის საქმიანობის ანგარიში 45

კომისიის თავმჯდომარის მიმართვა

2021 წლის 3 დეკემბრიდან თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას ვხელმძღვანელობ. რამდენადაც რთულია, იმდენად საპატიოა იმ კომისიაში საქმიანობა, სადაც არა ერთ საინტერესო ინიციატივებს ჩაეყარა საფუძველი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია:

- თბილისის მერიის და საკრებულოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმი საკრებულოს ისტორიულ შენობაში განთავსდება. მუზეუმს შემეცნებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დატვირთვა ექნება, როგორც ახალგაზრდა თაობისთვის, ისე დედაქალაქის სტუმრებისათვის;
- თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან ერთად დავაფუძნეთ „წლის მკითხველის“ წოდება და დეკემბრის ბოლოს დაჯილდოვდებიან საუკეთესოები. ამ ინიციატივას აქტიურად დაუჭირა მხარი საგამომცემლო სექტორმა;
- ქართული სამუზეუმო კულტურის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დავაწესეთ ჯილდო, რომელიც მიზნად ისახავს იშვიათი, ნოვატორული ხედვის დიზაინერების დაჯილდოებას;
- დავაფუძნეთ ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალი, რომლის მიზანია თბილისის ბავშვთა ფოლკლორული (კერძო და არასახელმწიფო დაფინანსების ქვეშ მყოფი) გუნდების მოტივაცია, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; წელს ფესტივალი მეორედ, უფრო მასშტაბურად განხორციელდება. ფესტივალის ფარგლებში გამოვლინდებიან გამარჯვებულები ნომინაციებში: საუკეთესო გუნდი, სოლისტი, ლოტბარი, დუეტი, აღდგენილი სიმღერა, საუკეთესო ტრიო, ავთენტურობის ნიშნით გამორჩეული გუნდი, მგალობელთა გუნდი და ქალაქური ფოლკლორის შემსრულებელი ანსამბლი;
- „ოპერა შენს ეზოში“ - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის 170-ე საიუბილეო წელს მიეძღვნა. პროექტის მიზანია, ქალაქის თითოეული უბნის მცხოვრებს შესაძლებლობა მიეცეს, თავისი უბნის სკვერში/ეზოში ეზიაროს საოპერო ხელოვნებას;
- სსიპ N32-ე საჯარო სკოლისთვის მოხდა აფხაზეთის ომის გმირის, ბაბუშერას აეროპორტში დაღუპული, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსნის, ბესარიონ კივილაძის და სამაჩაბლოს ომში დაღუპული კაპიტნის, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსნის ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭება. ქალაქ თბილისის N30-ე საჯარო სკოლას, ქართველი მწერლის, გურამ რჩეულიშვილის სახელი მიენიჭა;
- განათლების და კულტურის კომისიის უშუალო ჩართულობით, გოჩა ჩოგოვაძის, ვლადიმერ შარვაშიძის, გია ყანჩელის, ჯემალ ცერცვაძის, ალბერტ თავხელიძის, ლავრენტ ჩხარტიშვილის, არამ ხაჩატურიანის, მიხეილ ქორიძის, ლევან კბილაშვილის, დევი აბაშიძის, ბერი გაბრიელ აღმსარებლის(ურგებაძე), რეზო ამაშუკელის, ერვანდ ქოჩარის მემორიალური დაფების განთავსების საკითხზე ვიმსჯელეთ;

კახაბერ ლაბუჩიძე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის, თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის და ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრის კახაბერ ლაბუჩიძის 2023-2024 წ.წ ანგარიშს.

კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები (ზოგადი მიმოხილვა)

- ### კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში ყოველწლიურად მერიის ხელშეწყობით და დაფინანსებით საშუალოდ ხორციელდება 250-დან 300-მდე კულტურულ-შემეცნებითი პროექტი. მათ შორის (საშუალოდ წლის განმავლობაში):

- 50-60 სხვადასხვა მიმართულების ფესტივალი და კონკურსი;
- 45-მდე სპექტაკლი;
- 50-მდე საიუბილეო და სახელოვნებო/სასცენო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო და კონცერტი ;
- 15-მდე გაცვლითი კულტურული პროექტი;
- 40-მდე სახელმწიფო, რელიგიური და სახალხო დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიება;
- 20-მდე სახელოვნებო და საგანმანათლებლო ინკლუზიური პროექტი.
- 70-მდე საგამოფენო, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიება.

მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით განხორციელებულ პროექტებს შორისაა ისეთი ფესტივალები და ღონისძიებები, როგორიცაა:

- "თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი" https://www.facebook.com/TbilisiChoral/?locale=ka_GE
- საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი "შემოდგომის თბილისი" http://www.kakhidzemusiccenter.com/?lan=1&pg=st&st=3
- "პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსი" https://tbilisipiano.org.ge/
- "თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი" https://www.facebook.com/TbilisiInternational/?locale=ka_GE
- საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი "საჩუქარი" https://www.facebook.com/giftfestival/?locale=ka_GE
- თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი https://www.facebook.com/TbilisiFilmFestival/?locale=ka_GE
- თბილისის საერთაშორისო ჯაზ ფესტივალი https://www.facebook.com/TbilisiJazzFestival/?locale=ka_GE
- TAF (Tbilisi Art Fair) - თბილისის თანამედროვე ხელოვნების ბაზრობა https://www.facebook.com/share/jwFnHqzNLVXMv8MN/?
- „თბილისის ბალეტის საერთაშორისო ფესტივალი“ https://drive.google.com/file/d/1vPdCDKKZWRPJd4UgAk_spNigr2tI4DMX/view

- თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი https://tbilisibookfestival.ge/gallery_photo.php?l=ge
- „ქოლგა თბილისი ფოტო“ https://hello.leavingstone.club/story/KOLGA_2024
- ქუჩის ხელოვნების ფესტივალი - „ნიკო “ https://www.facebook.com/streetartniko/
- სახალხო ფესტივალი - „არტგენი" https://www.facebook.com/FestivaliArtgeni
- თბილისი მურალ ფესტი https://www.facebook.com/TbilisiMuralFest/
- ფესტივალი თბილისი რიტმი

https://www.facebook.com/share/jwFnHqzNLVXMv8MN/?
https://www.facebook.com/share/2jXW5n98Ug7yWtK5/?
https://www.facebook.com/share/bGTSr3XczJ4oHEXQ/?
https://www.facebook.com/share/gZKZsodf9R7PGhKh/?
https://www.facebook.com/share/9pTdrQiVKz7JetnF/?
https://www.facebook.com/share/7AjKTsmNcFYuCRys/?

- ### პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი“

პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი“ მიმართულია შემოქმედებითი ინდუსტრიების მდგრადი განვითარების ხელშეწყობისკენ, სახელოვნებო სფეროში მომუშავე მცირე მეწარმეობის განვითარებისკენ და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობისკენ.

2021 წელს მუნიციპალიტეტმა წარადგინა სათანადო განაცხადი და თბილისი გახდა UNESCO-ს „შემოქმედებითი ქალაქების ქსელის“ (UCCN) წევრი მედია ხელოვნების მიმართულებით, რაც ახალ შესაძლებლობას აძლევს ამ სფეროში დასაქმებულ ხელოვანებსა და ორგანიზაციებს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. აღნიშნულმა მოვლენამ ასახვა ჰპოვა 2022 წლის თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კონკურსში - „შემოქმედებითი თბილისი“ და გაჩნდა ახალი, პრიორიტეტული მიმართულება - მედია ხელოვნება, რომელიც თავის მხრივ, ბევრ აქტუალურ მიმდინარეობას მოიცავს და ხელს უწყობს სფეროში მომუშავე ხელოვანებს.

გასული პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 300-მდე პროექტი, მათ შორის: 140-მდე საგამომცემლო პროექტის ელექტრონული ვერსიის მომზადება ან/და ბეჭდვა; 50-მდე დიზაინისა და რეწვის მიმართულების პროექტი; 60-მდე თანამედროვე აუდიოვიზუალური და ვიზუალური მიმართულების პროექტი; 50-მდე პროექტი მედია ხელოვნების მიმართულებით.

1. „Touch RGB“ - https://touch.ge/touchrgb
2. აუდიო-კომპოზიცია "მე მივსდევ შენს ხმას" ანა კალანდაძე 100 - https://www.youtube.com/watch?v=u3DCjMh5TTk

3. თბილისური სახსოვარი 2024 - https://www.facebook.com/story.php/?story_fbid=888283976677223&id=100064868850649
4. ლექსო თორაძე წიგნი - ალბომი - https://www.instagram.com/reel/C77EVtXs4Rs/
5. TKESHI New Media Art & Diverse Music Festival - https://eventer.ge/event/tkeshi-festival-new-media-art-diverse-music/1731/ka
6. „თბილისური რეტროსპექტივა“ - https://1tv.ge/video/tbilisuri-retrospeqtivis-prezentacia/ , https://tbilisipost.ge/news/tbilisis-sakrebuloshi-akhali-gamoemis-tbilisuri-retrospeqtiva-prezentaia-gaimarta/11248
7. „ხელოვან ქალთა ციფრული გამოფენის კვირეული 2023“ - https://www.instagram.com/reel/CrGkYwyP5-L/
8. „ნაპრალთან ახლოს სიჩუმეა“ - https://hammockmagazine.ge/articles/2776/why-not-gallery
9. „ნათელა ურუშაძე და გიორგი გეგეჭკორი 100“- https://kvira.ge/872341
10. ვიდეო-თამაში - „წიქარა“ https://www.facebook.com/gioillustrator/videos/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9E/6532640846752984/
11. ანიმაციური ფილმი „სოხუმი“ - https://www.youtube.com/watch?v=WmK65ahKTPU
12. „თანამედროვე ქანდაკება არსებულ და იმიტირებულ რეალობაში“ - https://tasa.ge/event-10.html

- „ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის“ პროგრამა

„ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის“ პროგრამა მიზნად ისახავს ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობას. მის ფარგლებში ხორციელდება, ისეთი პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ინკლუზიური ელემენტების შეტანას ხელოვნების სფეროს სხვადასხვა დარგში, სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების გაჩენას დედაქალაქის კულტურულ სივრცეში და მათ ჩართულობას კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში.

გასული პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 120-ზე მეტი პროექტი.


GIFT
2024
1-15
Art is the Highest Form of Hope.

SOLO
taf

#NIKO2024

Student Card

XIV
27

24
TBILISI INTERNATIONAL
FILM FESTIVAL

KOLGA
TBILISI
PHOTO
მაისი 15 MAY
2024. 16:00
PAOLO PELLEGRIN
საქართველო
SAKARTVELO

TBILISI
JAZZ FESTIVAL

GEORGIA
MURAL
FEST
2024
GORI-KUTAISI-BATUMI-GURJAANI-TBILISI
Apr- Oct
MONTANA CANS

TBILISI INTERNATIONAL
FILM FESTIVAL
თბილისის
საერთაშორისო
კინოფესტივალი

25
თბილისის
წიგნის
საერთაშორისო
ფესტივალი
ლიტერატურულ-სამამომბეჭდლო
პროგრამა

მაისი 14 MAY
2024. 20:00
KOLGA
TBILISI
PHOTO
2024
ფოტოკონკურსი ქოლგა
KOLGA AWARD 2024
OPENING PART OF PHOTO WEEK
MUSIC HOST "MECHANICAL RAINBOW"

- კულტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები

1. ქ. თბილისი, ზღვისუბანი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო/რაიონი, მე-3 კვარტლის მიმდებარედ, მედიათეკის სივრცისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის მშენებლობა (ს/კ: 01.12.02.024.019)

- ლოკაცია - https://maps.app.goo.gl/WBm2uESth6yjQbvH7
- ფართობი - 1647 მ^2;
- ღირებულება - 1 946 965.42 ლარი;
- გახსნის თარიღი - 2024 წლის 5-6 ოქტომბერი.

2. ქ. თბილისი, ორხევი, სოსო აბზიანიძის ქუჩა N6, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლის“ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (ს/კ: 01.19.17.004.027)

- ლოკაცია - https://maps.app.goo.gl/XZUeiUE2f16yS6xQ8
- ფართობი - 843.2 მ^2;
- ღირებულება - 1 841 510.21 ლარი;
- გახსნის თარიღი - 2024 წლის სექტემბერი (საჭირო ინვენტარით აღიჭურვება, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე).





3. ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N42, საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონის გალავანის სარეაბილიტაციო სამუშაოები (პანთეონის გალავანის წინა მხარე და ჭიშკარი).

- ლოკაცია - https://maps.app.goo.gl/nAxfLBtgZVrMFdcbA
- ფართობი - 51 მ^2;
- ღირებულება - 60 816.99 ლარი;
- გახსნის თარიღი - 2024 წლის ნოემბერი.

ვიზუალიზაცია

ვიზუალიზაცია

4. ქ. თბილისი, ზანდუკელის ქუჩა N1, ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულში შემავალი მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (ს/კ: 01.15.02.011.011.01.509)

- ლოკაცია - https://maps.app.goo.gl/fjqVwaB3Fynjd6n3A
- ფართობი - 180,51 მ^2;
- ღირებულება - 1 546 240 ლარი;
- გახსნის თარიღი - 2025 წლის მაისი (შენობის რეაბილიტაცია დასრულებულია, მიმდინარეობს საგამოფენო სივრცის აღჭურვა და ექსპოზიციის მოწყობა. ეზოში მოსაწყობია სადროშე (ელოდებიან ქონების მართვის სამსახურის ნებართვას)).



5. „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ სამგორის ფილიალის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები

- (მისამართი: კახეთის გზატკეცილი N76 (ს.კ: 01.19.20.029.066);
- შენობის საერთო ფართი 4747.0 $მ^2$.
- ღირებულება: 3 798 041.68 (სამი მილიონ შვიდას ოთხმოცდათვრამეტი ათას ორმოცდაერთი ლარი და 68 თეთრი) ლარი.

ობიექტს ჩაუტარდა სრული სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები, მათ შორის გამაგრებითი სამუშაოები. შენობაში აღდგა თეატრის დარბაზი, დაემატა ციფრული ლაბორატორია და მედიათეკა, შენობაში მოეწყო სასტუმრო ოთახები, დაემატა სხვადასხვა სივრცე ახალგაზრდების შეკრებისათვის. შენობაში განთავსებულია სივრცეები როგორც არაფორმალური სწავლებისთვის, აგრეთვე, სპორტული და სახელოვნებო აქტივობებისთვის.

2024 წლის პირველი იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან:

„ზოგადი განათლებისა და სასკოლო პროექტების ხელშეწყობის“ მიმართულებით დაიხარჯა 61 506.76 ლარი. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 4 პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2000-მდე მოსწავლემ.

„პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობის“ მიმართულებით დაიხარჯა 1 089 758 ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 11 ორგანიზაცია, 65-მდე სპეციალობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 1000-მდე ადამიანი და 2024 წლის ბოლომდე გადამზადდება დამატებით 1000-მდე ადამიანი, სულ 2024 წლის განმავლობაში გადამზადდება 2000-მდე ადამიანი.

„უწყვეტი განათლებისა და სტუდენტური პროექტების“ ხელშეწყობის მიმართულებით დაიხარჯა 62 000 ლარი. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 3 პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1000-მდე სტუდენტმა.

„სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში“ დაიხარჯა 1 754 639 ლარი, დაფინანსდა 1653 სოციალურად დაუცველი სტუდენტი, ხოლო მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ 494 სტუდენტი, მათ შორის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი ქალი -317, შშმ ქალი - 18; მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი კაცი -137; შშმ სტუდენტი კაცი - 22; 393 წარმატებულმა მაგისტრანტმა მიიღო ფინანსური წახალისება, მათ შორის ქალი - 275; კაცი -118.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის აქტივობა

თბილისის საკრებულოს წევრი კახაბერ ლაბუჩიძე, 2021 წლის 03 დეკემბრიდან დღემდე არის თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

საანგარიშო წლის პერიოდში, არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა თუ პროექტი განხორციელდა.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული სხდომების სტატისტიკა

განათლებისა და კულტურის კომისიამ, საანგარიშო პერიოდში გამართა 13 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 20 საკითხი.

სხდომების სტატისტიკა და განხილული თემატიკა:

1. **17.11.2023; დღის წესრიგი:**
   1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა **(წერილი:12-032331753-03; 13.11.2023);**
   2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **(წერილი: №12-03233211-03; 17.11.2023).**
2. **13.12.2023; დღის წესრიგი:**
   1. სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა **(წერილი: 12-032334259-03; 08.12.2023).**
3. **22.01.2024; დღის წესრიგი:**
   1. ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ 2023 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.
4. **19.02.2024; დღის წესრიგი:**
   1. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილები: №19/032403222-03, 19/032403219-03; 01.02.2024)** მიხეილ ქორიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.
   2. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილები: №19/0324040134-03, 19/0324040140-03; 09.02.2024)** ლევან კბილაშვილის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.
   3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ **(წერილი: 12-032404613-03; 15.12.2023).**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა” (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (წერილი: 12-032404789-03; 16.02.2024).

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **(წერილი: 12-032404793-03; 16.02.2024).**

5. 22.03.2024; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (წერილის №12-032405999-03; 28.02.2024) განხილვა.

6. 29.03.2024; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ **(წერილის №12-032408771-03; 27.03.2024)** განხილვა.

7. 23.04.2024; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **(წერილის№12-032408818-03; 28.03.2024)** განხილვა.

2. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის დევი აბაშიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (წერილი: **№19/032411330-03; 22.04.2024)** განხილვა.

8. 24.05.2024; დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი: 2024 წლის I - ლი კვარტალი).

9. 14.06.2024; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის

განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **(წერილი:12-03241501-03; 29.05.2024).**

10. 12.07.2024; დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ **(წერილის №12-032419312-03; 11.07.2024)** განხილვა.

11. 16.08.2024; დღის წესრიგი:

1. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილი: *№*19/032422817-03; 15.08.2024)** ბერი გაბრიელ აღმსარებლის (ურგებაძე) მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

2. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილი: *№*19/032422161-03; 08.08.2024)** რეზო ამაშუკელის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

12. 16.09.2024; დღის წესრიგი:

1. განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილი:*№04-032425426-03*; 10.09.2024)** ერვანდ ქოჩარის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

13. 04.10.2024; დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

კახაბერ ლაბუჩიძის, როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრის საქმიანობის ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა 27 სხდომა და განხილულ იქნა 496 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში - 2023 წლის 16 ნოემბრიდან - 2024 წლის 04 ოქტომბრის სხდომების ჩათვლით, კომისიის წევრი კახაბერ ლაბუჩიძე დაესწრო 27 სხდომას და ჯამურად განიხილა 496 საკითხი.

თბილისის საკრებულოს სხდომების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 და ბიუროს 24 სხდომა; მიღებულ იქნა 675 განკარგულება და 113 დადგენილება, რომლის შედეგად, დედაქალაქში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა უზრუნველყოფის, ურბანული დაგეგმარების, გარემოს, ტრანსპორტის, ეკოლოგიისა და გამწვანების, სპორტის და სხვა პრიორიტეტების მიმართულებით. საკრებულოს წევრი კახაბერ ლაბუჩიძე დაესწრო საკრებულოს 14 და ბიუროს 24 სხდომას.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“, რომლის წევრიც არის კახაბერ ლაბუჩიძე, ჩაატარა 19 სხდომა და განიხილა 43 საკითხი, საიდანაც კახაბერ ლაბუჩიძემ მონაწილეობა მიიღო ფრაქციის 15 სხდომაში და განიხილა 33 საკითხი.

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, დედაქალაქის მასშტაბით, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობასა და სისტემაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს.

თბილისის მასშტაბით 188 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს, სადაც დასაქმებულთა რაოდენობაა 11 800. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო სერვისებით სარგებლობს 62 000 აღსაზრდელი.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ბაღების განახლების პროექტი, რომლის ფარგლებში, მასშტაბური სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსდა თბილისის რვა საბავშვო ბაღში. პროექტის მიზანია ყველა ძველი და ახალ აშენებული საჯარო საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის მომსახურების თანაბარ პირობებში გაწევა.

თბილისის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში დაინერგა სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისოდ აღიარებული, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის დანერგვის მიზნით, 156 საბავშვო ბაგა-ბაღში განხორციელდა სარემონტო სამუსაოები; სამზარეულოები და სამეურნეო დანიშნულების ოთახები/სათავსოები აღიჭურვა ახალი ტექნიკით და ინვენტარით.

საერთაშორისო ორგანიზაცია SAVE THE CHILDREN-ის მიერ პროგრამა HEART-ის (Healing and Education through Arts) მიხედვით გადამზადდა 150 აღმზრდელი.

პროექტ მწვანე ჯილდოს ფარგელებში თბილისის სამი საბავშვო ბაღის აღმზრდელი საუკეთესო ათეულში მოხვდა, პირველი ადგილი კი N95 საბავშვო ბაღის აღმზრდელს ერგო.

შეიცვალა რეგისტრაციის წესი, დაემატა პრიორიტეტული ჯგუფები, რეგისტრაცია გახდა 3 ეტაპიანი.

პრიორიტეტით მოსარგებლე აპლიკანტებია.

1. ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები;
2. სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები (100 000-მდე ქულა);
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ბავშვები;
4. დედმამიშვილები (როცა აპლიკანტის დედმამიშვილი უკვე არის ამავე ბაღის აღსაზრდელი);
5. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე მოქალაქეთა შვილები;
6. მრავალშვილიანი ოჯახების სტატუსის მქონე მოქალაქეთა შვილები (ოთხი და მეტი შვილი);

ავტორიზაცია

თბილისის საჯარო ბაღებში დაიწყო ავტორიზაციის პროცესი. ყველა მოქმედმა საჯარო ბაღმა დაასრულა თვითშეფასების ეტაპი. რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო კანონმდებლობით

ინკლუზია

ყველა ბაღს ემსახურება მულტიდისციპლინური გუნდი - მეთოდისტი სპეცპედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ჯანმრთელობის კოორდინატორი;

განისაზღვრა პერსონალური ასისტენტის დანიშვნის წესი სსსმ და შშმ აღსაზრდელებისათვის.

ადრეული და სკოლამდელი განათლების ობიექტების მონიტორინგი

- სამგორი რაიონში N64 საბავშვო ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოების დათვალიერება

დასრულებული პროექტი თბილისის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ისნის რაიონის მაჟორიტარმა კახა ლაბუჩიძემ, თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, სამგორის რაიონის მაჟორიტარმა რევაზ სოხაძემ, თბილისის მერის მოადგილემ კახა გულედანმა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა კახა აბულაძემ დაათვალიერეს.

N64 საბავშვო ბაღი თბილისში ერთ-ერთი ყველაზე დიდი იქნება, სადაც 15 ჯგუფი გაიხსნება და სკოლამდელ განათლებას 500-მდე აღსაზრდელი მიიღებს. საბავშვო ბაღი სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე სტანდარტებთან. შენობა აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების, ასევე, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით; ადაპტირებულია შშმ პირთათვის; დაცულია ბავშვთა უსაფრთხოების ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტი.

კახა ლაბუჩიძის განცხადებით, თბილისის მერის დაპირება ქალაქში ახალი, თანამედროვე სტანდარტების ბაგა-ბაღების მშენებლობის შესახებ სრულდება და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. აფრიკის დასახლებაში ამჟამად მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, რის გამოც მოთხოვნა სერვისებზე საკმაოდ მაღალია. ახალი ბაღის გახსნის შედეგად, ეს მოთხოვნა სრულად იქნება დაკმაყოფილებული. 2024 წელს ჩვენ რამდენიმე ბაღს გავხსნით და ახალი ბაღების მშენებლობასაც ჩავუყრით საფუძველს.

- N89 საბავშვო ბაგა-ბაღის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვალიერება

დედაქალაქის მერი კახა კალაძე, თბილისის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი კახა აბულაძე და გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, კოტე ზარნაძე გლდანის რაიონში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტს გაეცნენ.

განახლებული ინფრასტრუქტურა და ეზო, ახალი ფლიგელი და დამატებით 4 სააღმზრდელო ჯგუფი - ასეთია N89 საჯარო ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის შედეგი. N89 ბაგა-ბაღის შენობა რეაბილიტაციამდე მძიმე ავარიულ მდგომარეობაში იყო. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შენობის გარკვეული ნაწილის დემონტაჟი, აშენდა ახალი ფლიგელი, ხოლო 12-ჯგუფიან ბაღს კიდევ ოთხი სააღმზრდელო ჯგუფი დაემატა. შენობა აღჭურვილია ბავშვთა უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინებით - დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები.

პროექტი თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ბიუჯეტიდან 4 408 895 ლარით დაფინანსდა.

- ისნის რაიონში მდებარე N109 საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობის პროცესის დათვალიერება

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი კახა ლაბუჩიძე, თბილისის მერის მოადგილე კახა გულედანი, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი კახა აბულაძე, ისნის რაიონში მდებარე N109 საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობის პროცესს გაეცნენ.

საბავშვო ბაღი გაბრიელ სალოსის გამზირზე მდებარეობს, ეს საკმაოდ მასშტაბური პროექტია, რადგან საჯარო ბაგა-ბაღი 20-ჯგუფიანი იქნება და 600 აღსაზრდელს მოემსახურება. აღნიშნული ბაღის მშენებლობა დასასრულისკენ მიდის და 2024 წლის ბოლომდე მისი სრულ ექსპლუატაციაში მიღება იგეგმება. პროექტის ღირებულება 6,9 მილიონი ლარია.

„ახალ N109 ბაღის შენობაში დამონტაჟდება უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, დაინერგება სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემა - HACCP, ბაღის შენობა ენერგოეფექტური მასალებით აშენდება და მოპირკეთდება. ბაღს ექნებასათამაშო მოედნები, ღია ტერასები და ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალებისგან დამზადებული ატრაქციონები. შენობა შშმ პირთათვის ადაპტირდება და ბავშვთა უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვება.“ - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

N109 საბავშვო ბაღის ძველი შენობის დემონტაჟი ავარიულობის გამო განხორციელდა, მის ნაცვლად კი ახალი ბაღი აშენდება, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ბავშვთა უსაფრთხოების ადგილობრივ თუ საერთაშორისო სტანდარტს და შექმნის ყველა პირობას საგანმანათლებლო დაწესებულების სათანადო ფუნქციონირებისათვის.

- ### გლდანის რაიონის, ავჭალის დასახლებაში მდებარე N54 საბავშვო ბაღის განახლებულ ინფრასტრუქტურის დათვალიერება

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი კახა ლაბუჩიძე, თბილისის მერის მოადგილე კახა გულედანი და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი კახა აბულაძე, გლდანის რაიონის, ავჭალის დასახლებაში მდებარე N54 საბავშვო ბაღის განახლებულ ინფრასტრუქტურას გაეცნენ.

N54 საბავშვო ბაღი „განახლების პროგრამის“ ფარგლებში განახლდა. გაკეთდა ახალი ფასადი, მოწესრიგდა გზის საფარი, მოეწყო ახალი სპორტული მოედანი და სათამაშო მოედნები ახალი ატრაქციონებით, განახლდა არსებული სათამაშო მოედანი, გადაიხურა ღია სცენა და მოეწყო ამფითეატრი. ასევე, დაირგო წიწვოვანი ნარგავები და მოწესრიგდა წყალსაწრეტი მილები.



- დიღმის მასივში მდებარე N19 საბავშვო ბაღის ახალი შენობის დათვალიერება

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ლაბუჩიძემ, თბილისის მერის მოადგილესთან კახა გულედანთან და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან კახა აბულაძესთან დიღმის მასივში მდებარე N19 საბავშვო ბაღის ახალი შენობა დაათვალიერა.

„N19 საბავშვო ბაღი რამდენიმე თვეში ახალ შენობაში დაბრუნდება. თბილისის N19 საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობა ახალი სააღმზრდელო წლის დასაწყისში ექსპლუატაციაში შევა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენობის აღჭურვა ავეჯითა და სხვა აუცილებელი ინვენტარით. ახალი ბაღი 8-ჯგუფიანია და 250-მდე აღსაზრდელზეა გათვლილი. ბაღი აღჭურვილია ბავშვთა უსაფრთხოების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, ადაპტირებულია შშმ პირთათვის, დამონტაჟებულია შშმ და ტექნიკური ლიფტები“. - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

- საბურთალოს რაიონში მდებარე N211 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციის პროექტის გაცნობა- დათვალიერება

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი კახა ლაბუჩიძე, თბილისის მერის მოადგილესთან კახა გულედანთან და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან კახა აბულაძესთან, საბურთალოს რაიონში მდებარე N211 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციის პროექტს გაეცნო.

N211 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 2.346.000 ლარს შეადგენს. მიმდინარეობს ბაღის ნაწილის გამაგრების შესაბამისი პროცედურები, მისი არასათანადო მდგომარეობის გამო, ამასთანავე, განხორციელდება შენობის სრული რემონტი და სართულის დამატებაც. სარეაბილიტაციო სამუშაოების სრულად დასრულების შემდგომ საჯარო ბაგა-ბაღი 4-ჯგუფიანი იქნება და 120 აღსაზრდელს მოემსახურება.

- ჩუღურეთის რაიონში მდებარე ახლად რეაბილიტირებული N2 საბავშვო ბაღის გახსნა

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახა ლაბუჩიძემ დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან, თბილისის საკრებულოს წევრთან, ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან, ზურაბ ჩიკვილაძესთან და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან კახა აბულაძესთან, ერთად ჩუღურეთის რაიონში მდებარე N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტირებული შენობა დაათვალიერა.

აღსანიშნავია, რომ N2 საბავშვო ბაღის შენობის ერთი ნაწილი ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლია, ის მე-19 საუკუნეში არის აშენებული, რეაბილიტაციის შემდეგ მისი პირვანდელი სახე შენარჩუნდა. შენობას ასევე ჰქონდა მეორე ფლიგელი, რომლის დემონტაჟიც განხორციელდა და მის ნაცვლად აშენდა სრულიად ახალი კორპუსი.

ბაგა-ბაღი ადაპტირებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დამონტაჟებულია ელექტროპანდუსი და ლიფტები შშმ პირთათვის, გარდა ამისა, იგი სრულად აკმაყოფილებს ბავშვთა უსაფრთხოების კუთხით არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს. საბავშვო ბაღი ათ ჯგუფიანია და 290-მდე აღსაზრდელზეა გათვლილი. პროექტის ღირებულება 4 070 000 ლარია.

- ვაზისუბნის დასახლებაში ახლადაშენებული N124 საბავშვო ბაღის გახსნა

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ლაბუჩიძემ დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ტყემალაძესთან საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან კახა აბულაძესთან და თბილისის მერის მოადგილესთან, კახა გულედანთან ერთად ისნის რაიონში მდებარე ახლადაშენებული N124 საბავშვო ბაღის შენობა დაათვალიერა.

N124 ბაგა-ბაღი ვაზისუბნის დასახლებაში, აშოტ კურაპალატის ქუჩაზე აშენდა. ბაღი 9-ჯგუფიანია და 290 აღსაზრდელზეა გათვლილი. ბაგა-ბაღის შენობა ადაპტირებულია შშმ პირთათვის, აქვს კეთილმოწყობილი ეზო გამწვანებითა და სათამაშო მოედნებით; შენობა აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით, უსაფრთხოების ბადეებითა და სააღმზრდელო ჯგუფების ინდივიდუალური საევაკუაციო კიბეებით. პროექტის ბიუჯეტი 4,5 მილიონი ლარია.

- ისნის რაიონში მდებარე ახლადგახსნილი N30 საბავშვო ბაღი დათვალიერება

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ლაბუჩიძემ დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან კახა აბულაძესთან და თბილისის მერის მოადგილესთან, კახა გულედანთან ერთად ისნის რაიონში მდებარე ახლადგახსნილი N30 საბავშვო ბაღი დაათვალიერა.

N30 ბაგა-ბაღი ნავთლუღის ქუჩაზე მდებარეობს. ბაღი 11-ჯგუფიანია და 350 აღსაზრდელზეა გათვლილი. საბავშვო ბაღის შენობა და ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, რაც სავალდებულოა თანამედროვე სკოლამდელი განათლების დაწესებულების ფუნქციონირებისათვის. გარდა ამისა, პროექტის მიმდინარეობისას, ბავშვთა სათამაშო მოედნებისა და ატრაქციონებისათვის, დედაქალაქის მერიამ ბაღს დამატებით ტერიტორია გადასცა, რის შედეგადაც ღია აქტივობებისათვის სივრცე მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

N30 საბავშვო ბაღი კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროექტშია ჩართული - თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსა და საერთაშორისო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვებს" შორის თანამშრომლობის ფარგლებში, ბაღში უკრაინელი ბავშვებისთვის სასკოლო მზაობის ჯგუფი ფუნქციონირებს, სადაც სწავლება უკრაინულ ენაზე და უკრაინული ეროვნული პროგრამით მიმდინარეობს. ბაგა-ბაღის მშენებლობის პროექტი დედაქალაქის ბიუჯეტიდან 4,5 მილიონი ლარით დაფინანსდა.

სამუშაო ვიზიტი სომხეთის დედაქალაქ ერევანში

საანგარიშო წლის პერიოდში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან და საკრებულოს წევრებთან ერთად სომხეთის დედაქალაქ ერევანში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს დელეგაცია სომხეთში ერევნის მუნიციპალიტეტის მიწვევით გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში თბილისის საკრებულოს დელეგაციის წევრები ერევნის მერის პირველ მოადგილეს, არმენ პამბუკჩიანს და მერის მოადგილეს, ლევონ ჰოვანისიანს შეხვდნენ. შეხვედრას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში გიორგი შარვაშიძეც ესწრებოდა.

შეხვედრაზე ერევნის მერის პირველმა მოადგილემ სომხეთისა და საქართველოს მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებს გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ ქართული დელეგაციის ვიზიტი დედაქალაქების მუნიციპალურ ორგანოებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას და გამოცდილების გაცვლას შეუწყობს ხელს. შეხვედრაზე მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრები და დისკუსიები ორი ქვეყნის მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობისთვის ახალ შესაძლებლობებს შექმნის.

ამას გარდა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ, შეხვედრა სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, გიორგი შარვაშიძესთან, გამართა. გიორგი ტყემალაძემ ელჩს საქართველოს ახალი საელჩოს შენობის გახსნა მიულოცა და მას წარმატება უსურვა.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ქართული დელეგაცია ერევანში წიწერნაკაბერდის მემორიალურ კომპლექსს ეწვია. თბილისის საკრებულოს წევრებმა მემორიალი, რომელიც სომეხთა გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნას ეძღვნება, გვირგვინით შეამკეს.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე და დელეგაციის წევრები მესროპ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტსაც ეწვივნენ და მატენადარანის დირექტორთან ერთად ძველი ხელნაწერების რესტავრაციის დეპარტამენტი მოინახულეს. აგრეთვე სომხური და უცხოენოვანი ხელნაწერების ნიმუშები, მუზეუმში განთავსებული მუდმივი და დროებითი გამოფენები დაათვალიერეს.

თბილისის საკრებულოს დელეგაციაში გიორგი ტყემალაძესთან ერთად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძე იმყოფებიან.

- სამგორისა და კრწანისის საჯარო სკოლებში, N127 და N215 სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები

სკოლების სრული რეაბილიტაცია თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნასა და შენობების სრულ კეთილმოწყობას ითვალისწინებს. სკოლებში მოეწყობა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი და ექიმის კაბინეტი, სპორტული ინფრასტრუქტურა და რეკრეაციული სივრცეები.

რეაბილიტაციის პროცესს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი ლევან სუხიტაშვილი, საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი რევაზ სოხაძე და საკრებულოს კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ლევან ჯაფარიძე გაეცნენ.

„გრძელდება თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროცესი. დღეს 127-ე და 215-ე სკოლები მოვინახულეთ და ადგილზე გავეცანით სამუშაოების მიმდინარეობას. განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ, 2025 წლიდან, თბილისის კიდევ ორი სკოლის მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ სრულად ადაპტირებული, უსაფრთხო, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი საგანმანათლებლო, სპორტული ინფრასტრუქტურითა და სივრცეებით", - განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

თბილისის 127-ე სკოლა გასული საუკუნის 60-იან წლებში უსინათლოთა საზოგადოების მიერ აშენდა. დღეს სკოლის მოსწავლეთა დაახლოებით 30% მცირედ მხედველია, ამასთანავე სკოლაში სხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებიც სწავლობენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლა სრულად ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე: მოეწყობა პანდუსები და ლიფტები, ადაპტირებული სველი წერტილები.

- მერაბ კოსტავას მემორიალურ სახლ-მუზეუმში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახა ლაბუჩიძემ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ტყემალაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან ზურაბ აბაშიძესთან, საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველთან მარიკა დარჩიასთან და თბილისის მუზეუმების გაერთიანების გენერალურ დირექტორთან ნინო სანადირაძესთან, მერაბ კოსტავას მემორიალურ სახლ-მუზეუმში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

თბილისის მუზეუმების გაერთიანების მერაბ კოსტავას მემორიალურ სახლ-მუზეუმში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა. სარესტავრაციო სამუშაოების ფარგლებში, ჩატარდა სადემონტაჟო და შენობის გამაგრების სამუშაოები, სარდაფები მიწის დანალექი მასებისგან გაიწმინდა,

მოწესრიგდა მუზეუმის ეზოში არსებული წყალმომარაგების ქსელი, შეიცვალა სახურავი და საწვიმარი მილები, ავთენტური სახით მოეწყო შუშაბანდი, დამონტაჟდა გათბობა - გაგრილების სისტემები, მუზეუმი აღიჭურვა ვიდეო - სამეთვალყურეო კამერებითა და ხანძარქრობის თანამედროვე სისტემებით, მუზეუმს ზანდუკელის ქუჩის მხრიდან დაემატა შემოსასვლელი კიბე, ეზოში დამონტაჟდა განათებისა და სანიაღვრე სისტემები, მოეწყო ავთენტური ქვაფენილი. მუზეუმი ადაპტირებულია და ითვალისწინებს სხვადასხვა საჭიროების ადამიანებისთვის სრულ ხელმისაწვდომობას.

„აღსანიშნავია, რომ მუზეუმის დაარსების იდეა საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას ეკუთვნოდა. დღეს ვიმყოფებოდით მუზეუმში, სადაც სარემონტო სამუშაოები დაახლოებით ბოლო 30 წლის მანძილზე არ ჩატარებულა. დღეს კი სახლ-მუზეუმის რესტავრირებისთვის ძალიან დიდი სამუშაოა გაწეული. ჩვენ დავპირდით თბილისელებს, რომ მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი მიიღებდა იმ ფორმას, რომელიც მუზეუმების თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება და ეს პირობა შევასრულეთ“- განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

თბილისის მერიამ მერაბ კოსტავას მემორიალურ სახლ-მუზეუმის შენობაში არსებული კერძო პირის კუთვნილი ფართი გამოისყიდა და მუზეუმს გადასცა. სარეაბილიტაციო სამუშაოები აღნიშნულ ფართშიც დასრულდა. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში, შენარჩუნდა შენობის ისტორიული ნაწილი და კვლევისას აღმოჩენილი ავთენტური კედლები. სარეაბილიტაციო სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, მუზეუმში მერაბ კოსტავას პირადი ნივთები, მემორიალური ავეჯი, ბიბლიოთეკა, ხელნაწერები, ნოტებისა და გრამფირფიტების კოლექცია, მე-20 საუკუნის II ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფოტო და დოკუმენტური მასალა, პირადი წერილები და მერაბ კოსტავას ინიციატივით გამოცემული არალეგალური ჟურნალ-გაზეთები გამოიფინება.

მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი 1991 წელს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ინიციატივითა და თაოსნობით დაარსდა. მუზეუმი ზანდუკელის ქუჩის N1-ში მდებარეობს, სადაც საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა 1939 წელს დაიბადა და სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. მუზეუმი დამთვალიერებლებისთვის 2024 წლის ბოლოს გაიხსნება.

რეაბილიტაციის პარალელურად, ეროვნულ სასახლეში მნიშვნელოვნად დაიხვეწა სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამები, გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა, რაც სწორი მენეჯმენტის და ხარისხიანი სერვისის შედეგია. ამ ეტაპზე დასრულდა ცენტრალური შენობის ფასადის რეაბილიტაცია. მთლიანად განახლებულია „ბ“ ბლოკი; დარჩენილია გაგრილების სისტემის მონტაჟი და პარალელურად მიმდინარეობს ცენტრალური შენობა-ნაგებობის შიდა სივრცის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობს სასწავლო სივრცეების სადემონტაჟო და სარემონტო სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს თბილისის განვითარების ფონდი პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში ახორციელებს.

- დარეჯანის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატმა კახა ლაბუჩიძემ, თბილისის მერთან კახა კალაძესთან, თბილისის მერის მოადგილესთან ირაკლი ბენდელიანთან და თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელთან, გიორგი პაპავასთან ერთად დარეჯანის სასახლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპით გათვალისწინებული დასრულებული სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში, დარეჯანის სასახლის ისტორიული ხის აივნის დემონტაჟი და ახლის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა, შეიცვალა სახურავი, შესრულდა დიდი ოთახის სარემონტო სამუშაოები, განახლდა აივანზე დაზიანებული აგურით მოწყობილი იატაკი. ასევე, განხორციელდა გარე აივნის დაზიანებული ხის სვეტებისა და იატაკის რეაბილიტაცია.

„თბილისის განვითარების ფონდმა დარეჯანის სასახლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები დაასრულა. ქალაქი აქტიურად მუშაობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია-მოწესრიგებაზე და ეს პროცესი უწყვეტად გაგრძელდება, რათა მეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნება შევძლოთ“. - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო. აღნიშნული პროექტისთვის 350 000 ლარი დაიხარჯა, რაც დედაქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

- თბილისის 215-ე საჯარო სკოლის დათვალიერება

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ტყემალაძესთან და თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძესთან ერთად თბილისის 215-ე საჯარო სკოლა დაათვალიერა, სადაც სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ჩატარდა. სკოლაში ასევე იმყოფებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე გელა გელაძე და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს ხელმძღვანელი ირაკლი კუპრავა.

2015-ე საჯარო სკოლაში, რომელიც ლილოში მდებარეობს, განახლდა ფანჯრების, სახანძრო უსაფრთხოების, გათბობის, წყალ-კანალიზაციის და ელექტროგაყვანილობის სისტემები. სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი და ექიმის კაბინეტი; სკოლა უზრუნველყოფილია სპორტული ინფრასტრუქტურითა და რეკრეაციული სივრცეებით.

შენობა, რომელიც 120 მოსწავლეზეა გათვლილი, ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის: მოეწყო პანდუსები, ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლა სრულად აღიჭურვა ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსით.

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები

- **თბილისის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალის გახსნა**

დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარესთან კახა ლაბუჩიძესთან ერთად, თბილისის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალის გახსნას დაესწრო.

„ძალიან მახარებს ფესტივალის მასშტაბურობა. წელს მონაწილეთა რაოდენობა შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. სასიხარულოა, როცა კონსერვატორიის დიდ დარბაზში ამდენ ნიჭიერ ბავშვს და ახალგაზრდას ვხედავ, რომელიც შეყვარებულია ქართულ ფოლკლორზე. მათ უდიდესი წვლილი შეაქვთ ქართული ხალხური სიმღერის, საგალობლების პოპულარიზაციასა და ჩვენი კულტურული ტრადიციების შენარჩუნებაში. სწორედ ამიტომ, დედაქალაქის საკრებულო და მერია ყოველთვის მხარს დაუჭერს საქმეს, რომელიც მომავალი თაობის აღზრდას და შემოქმედებით პოპულარიზაციას ემსახურება“, - აღნიშნა კახა ლაბუჩიძემ.

კახა ლაბუჩიძის განცხადებით, თბილისი არის მულტიკულტურული, მულტიეთნიკური ქალაქი და მნიშვნელოვანია, რომ წელს აზერბაიჯანულმა და სომხურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა ფესტივალში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. ფესტივალის ფარგლებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები ნომინაციებში: საუკეთესო გუნდი, სოლისტი, ლოტბარი, დუეტი, აღდგენილი სიმღერა, საუკეთესო ტრიო, ავთენტურობის ნიშნით გამორჩეული გუნდი, მგალობელთა გუნდი და ქალაქური ფოლკლორის შემსრულებელი ანსამბლი.

ფესტივალი თბილისის მერიის დაფინანსებით, დედაქალაქის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივითა და საკრებულოს მხარდაჭერით ხორციელდება. თბილისის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალი მიზნად ისახავს არასახელმწიფო დაფინანსების ქვეშ მყოფი თბილისის ბავშვთა ფოლკლორული გუნდების ხელშეწყობას, გააქტიურებას და მოტივაციას.

- „მეტი ინოვაცია და საზოგადოებრივი ჩართულობა თბილისის მუზეუმების გაერთიანებაში“

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე, თბილისის მუზეუმების გაერთიანების ხელმძღვანელთან, ნინი სანადირაძესთან ერთად, თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში bp-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „მეტი ინოვაცია და საზოგადოებრივი ჩართულობა თბილისის მუზეუმების გაერთიანებაში“ პროექტის დახურვის ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა.

ღონისძიებაზე, თბილისის მუზეუმების გაერთიანება - ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში მზის პანელების პრეზენტაციაც გაიმართა.

კახა ლაბუჩიძის განცხადებით, ამიერკავკასიაში ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მუზეუმი ბუნებრივი ენერგიის წყაროზე გადადის და მზის ენერგიას მოიხმარს. “პროექტის ფინალური პრეზენტაციის ფარგლებში წარმოდგენილი იყო თბილისის მუზეუმების გაერთიანების კონსერვაციისა და რესტავრაციის ლაბორატორიის განახლებული შესაძლებლობებისა (bp-ის ფინანსური მხარდაჭერით ლაბორატორია

აღიჭურვა რესტავრაციისა და საკონსერვაციო სამუშაოებისთვის საჭირო თანამედროვე აპარატურითა და ხელსაწყოებით) და ერთწლიანი მუშაობის შედეგების პრეზენტაცია, ასევე ამავე ლაბორატორიაში რესტავრირებული ნამუშევრების გამოფენა. კერძოდ, გამოიფინება რესტავრირებული ხელნაწერები გალაკტიონ ტაბიძის პირადი არქივიდან, რარიტეტული წიგნები, პერიოდული გამოცემები, სათამაშოები და ფაიფურის ნიმუშები”- განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

პროექტის ფარგლებში ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში მომზადდა ორენოვანი თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიო-გიდის სისტემა და დაინერგა ახალი ტექნოლოგიები, რაც სამუზეუმო თხრობის გამრავალფეროვნებას და დამთვალიერებლისათვის მეტი კომფორტის შექმნას უწყობს ხელს. აუდიო გიდების მეშვეობით, დამთვალიერებელს შესაძლებლობა ეძლევა მისთვის მისაღებ ენაზე ინდივიდუალურად წარმართოს სამუზეუმო ტური.

პროექტის ფარგლებში თბილისის მუზეუმების გაერთიანების აუდიტორიის გაფართოების მიზნით, ასევე მომზადდა და შესაბამის პლატფორმებზე განთავსდა თბილისის მუზეუმების გაერთიანების საქმიანობის პოპულარიზაციისა და ვიზიტორთა, თუ ონლაინ მიმდევართა მოზიდვის მიზნით საინფორმაციო, საგანმანათლებლო ათი ვიდეორგოლი. პროექტი განხორციელდა კომპანია bp-ის დაფინანსებითა და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის - CTC-ის თანამშრომლობით თბილისის მუზეუმების გაერთიანებასთან.

- ## პრემია "ნაკადულის" დაჯილდოების ცერემონია

თბილისის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორ ნინო მაჭარაშვილთან ერთად ვაკის მედიათეკაში საბავშვო ლიტერატურული პრემია „ნაკადულის“ დაჯილდოების ცერემონიალს დაესწრო.

კახა ლაბუჩიძემ ღონისძიებაზე პრემია "ნაკადულის" განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ საბავშვო-საგანმანათლებლო და სახელოვნებო პროექტების მხარდაჭერა ერთ-ერთი პრიორიტეტული საქმეა დედაქალაქის მუნიციპალიტეტისთვის.

„ნაკადული“, როგორც ისტორიული მნიშვნელობის ჟურნალი, ათწლეულების მანძილზე საბავშვო ლიტერატურის პოპულარიზაციას უწყობდა ხელს, ამიტომ ის განსაკუთრებულად უყვართ ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანებს, საბავშვო ავტორებსა და ილუსტრატორებს. სწორედ ამიტომ ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ პრემიის მხარდაჭერას, მის პოპულარიზაციას და ხელს შევუწყობთ, რომ კიდევ უფრო ფართო მასშტაბის გახდეს" - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

აღსანიშნავია, რომ პრემია „ნაკადული“, იუნესკოს პროექტ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ მიერ ორგანიზებული თბილისის საბავშვო წიგნის ფესტივალის ფარგლებში 2021 წელს დაარსდა.

- ## ანსამბლ "შავნაბადას" მომზადებული თვითმასწავლებელი სამგალობლო კრებულების პრეზენტაცია

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და დედაქალაქის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე კავკასიის უნივერსიტეტში, აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ "შავნაბადას" მიერ მომზადებული თვითმასწავლებელი სამგალობლო კრებულების პრეზენტაციას დაესწრნენ.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა გიორგი ტყემალაძე, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიულოცა უმნიშვნელოვანესი საქმის, - სამგალობლო კრებულების მრავალტომეულის გამოცემა.

განათლების და კულტურის კომისიის კახა ლაბუჩიძის განცხადებით, ქართული გალობა, როგორც კულტურულ-რელიგიური ქმნილება აერთიანებს ეროვნულ არამატერიალურ ღირებულებებს, რაც ენასა და მუსიკალურ აზროვნებაში, შემდეგ საეკლესიო კულტურაში მისი პრაქტიკული გამოყენებით არის წარმოდგენილი, რაც უდიდესი მნიშვნელობის საქმეა.

აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ ,,შავნაბადას" მიერ მომზადებული თვითმასწავლებელი სამგალობლო კრებულების მომზადება მისი უწმიდესობის ილია II-ის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ლოცვა კურთხევით დაიწყო.

- „წლის მკითხველის“ დაჯილდოება

თბილისის საკრებულოს თამარ მეფის დარბაზში „წლის მკითხველის“ დაჯილდოება და თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების წლის საანგარიშო ღონისძიება გაიმართა.

დაჯილდოება თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ინიციატივითა და საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის მხარდაჭერით გაიმართა.

ღონისძიების მთავარი ნაწილი ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების წლის ყველაზე აქტიური მკითხველების, ასევე საბიბლიოთეკო საქმეში შეტანილი წვლილისთვის გაერთიანების თანამშრომელთა სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოებას დაეთმო.

თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების 15 თანამშრომელი და ყველაზე აქტიური 30 მკითხველი დააჯილდოვეს, რომლებსაც სპეციალური საჩუქრები და დიპლომები გადასცეს.

„პროექტი „წლის მკითხველი“ მეორე წელია ტარდება საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის მხარდაჭერით და ამ პროექტში სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი ერთვება. პროექტის მიზანი წიგნის კითხვის პოპულარიზაცია და მკითხველთა წახალისება“. - განაცხადა კახაბერ ლაბუჩიძემ.

- ## სკოლის მოსწავლეების ვიზიტი საკრებულოში

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ლაბუჩიძემ, ავჭალის დასახლებაში მდებარე N120-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებს საკრებულოში უმასპინძლა.

კახა ლაბუჩიძემ მოსწავლეებთან თვითმმართველობის აქტუალურ საკითხებზე და საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის საქმიანობის სპეციფიკაზე ისაუბრა. მისი განცხადებით, აღნიშნული თხოვნით საკრებულოს ოფიციალურად მომართა ქალაქ თბილისის N120-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ.

„შეხვედრის მიზანი იყო მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება, მათი ინფორმირებულობის გაზრდა მუნიციპალიტეტის საქმიანობის, ახალგაზრდული პროგრამების და სერვისების მიწოდების მიმართულებით, განსაკუთრებით, კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით“, - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

- მშობლიური ენის საერთაშორისო დღე თბილისის საკრებულოში

თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ინიციატივით, საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს მხარდაჭერით მშობლიური ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე, რომელმაც მშობლიური ენის დაცვისა და განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„მშობლიური ენის საერთაშორისო დღე თბილისის საკრებულოში, განათლების და კულტურის კომისიის მხრიდან ყოველწლიურად აღინიშნება. საქართველოში მრავალი ეთნოსი ცხოვრობს, რომელთათვის მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რამდენადაც აღინიშნება ერის იდენტიფიკაციის დღე. ენა არის მთავარი მონაპოვარი ამა თუ იმ ერისა, ის განმსაზღვრელია ერის კულტურის და იდენტობის," - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

მშობლიური ენის საერთაშორისო დღე იუნესკომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, განვითარებისა და წარმოჩენის მიზნით 1999 წელს დააწესა. საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2015-2016 წლებში შესაძლებელი გახდა საქართველოს ზოგიერთ სკოლაში მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენების სწავლება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1978 წელს განვითარებული მოვლენების შემდეგ დედაენის დღედ 14 აპრილი გამოცხადდა.

- ოკუპაციის დღე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

თბილისის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ლაბუჩიძემ, ისნის რაიონის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსნებს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი დაათვალიერებინა.

ღონისძიება, რომლის მიზანია ახალგაზრდა თაობა წარსულ ღირებულებებსა და ისტორიულ ფასეულობებს აზიაროს, საკრებულოს განათლებისა კულტურის კომისიის თავმჯდომარის, კახა ლაბუჩიძის ინიციატივით ჩატარდა.

„საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით, ვმასპინძლობთ თბილისის საჯარო სკოლის 2022-2023 წლის მედალოსნებს, რათა მომავალი თაობა ვაზიაროთ იმ ღირებულებებს, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია. წელს, სიმბოლურად შევარჩიეთ ისნის რაიონის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსნები. როგორც ისნის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, მსურს რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდა თაობას ვაჩვენო საბჭოთა ოკუპაციის ამსახველი ექსპოზიცია", - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

ვიზიტორებმა საგამოფენო დარბაზში განთავსებული ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და საქართველოში საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის 70-წლიანი მმართველობის (1921-1991) ამსახველი ფოტო, ვიდეო და დოკუმენტური მასალა დაათვალიერეს.

- ქალაქ პრაღის მეექვსე ოლქის დელეგაციის ვიზიტი

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძემ, საკრებულოს წევრებთან და ვაკის რაიონის გამგებელთან დავით კვინიკაძესთან ერთად, ქალაქ პრაღის მეექვსე ოლქის მერთან, იაკუბ სტარეკთან, მის მოადგილეებთან, მარიან ჰოშეკთან, მარიანა ჩაპკოვასთან შეხვედრა გამართეს.

კახაბერ ლაბუჩიძემ, ჩეხეთის დელეგაციას თბილისში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა. შეხვედრის შემდგომ კახაბერ ლაბუჩიძემ დელეგაციის წევრებთან ერთად სამგორის რაიონში, ე.წ. აფრიკის დასახლებაში, 64-ე საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა დაათვალიერა.

სტუმრებმა, თბილისში ერთ-ერთი ყველაზე დიდი, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი ბაგა-ბაღი დაათვალიერეს, რომელიც აღჭურვილია, სახანძრო უსაფრთხოების, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით, ასევე ადაპტირებულია შშმ პირთათვის. ბაგა-ბაღში დაცულია ბავშვთა უსაფრთხოების ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტი. მიმდინარე წელს რამდენიმე საბავშვო ბაღი გავხსენით, ასევე ახალ მშენებლობებსაც ჩავუყარეთ საფუძველი. ე.წ.აფრიკის დასახელებაში ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი ფუნქციონერებს, რომელიც მიმდინარე წელს გაიხსნა და 500 ბავშვს ემსახურება“-განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

უცხოელმა სტუმრებმა განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარეს კახა ლაბუჩიძეს მადლობა გადაუხადეს მასპინძლობისთვის და აღნიშნეს, რომ გამოცდილების გაზიარება ორმხრივად სასარგებლო და შედეგიანი იქნება.

კახა ლაბუჩიძემ სტუმრებს ვარკეთილში მდებარე მედიათეკა დაათვალიერებინა, რომელიც სრულად ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებებზე. მისივე თქმით, მედიათეკა მოიცავს იზოლირებულ სამკითხველო დარბაზებს ბავშვებისა და მოზარდებისთვის, მთავარ სამუშაო სივრცეს და ეკრანითა და პროექტორით აღჭურვილ მულტიმედიურ ოთახს, სადაც ფილმების ჩვენება, პრეზენტაციები და სხვადასხვა ტიპის სახელოვნებო შეხვედრები იმართება.

როგორც შეხვედრაზე კახა ლაბუჩიძემ აღნიშნა, თბილისის მერიის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება 2018 წელს კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების რეფორმის ფარგლებში შეიქმნა. მისი მიზანია თანამედროვე ტიპის კულტურულ-საინფორმაციო სივრცის შექმნა, რომელშიც მომხმარებელს საშუალება აქვს, როგორც მრავალფეროვანი წიგნადი ფონდით, ისე ელექტრონული რესურსებით ისარგებლოს.

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებებზე ისაუბრეს. პრაღის მეექვსე ოლქის მერისა და მისი მოადგილეების ვიზიტი თბილისში 18 მარტს დაიწყო და 21 მარტს დასრულდება.

- ## სამუშაო შეხვედრა თბილისის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალის ორგანიზატორებთან და ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ხელმძღვანელებთან

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე თბილისის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალის ორგანიზატორებს და ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ხელმძღვანელებს შეხვდნენ. ფესტივალი წელს მესამედ გაიმართება.

ფესტივალს თბილისის მერია აფინანსებს და საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის მხარდაჭერით გაიმართება ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისში და მიზნად ისახავს, თბილისის ბავშვთა ფოლკლორული (კერძო და არასახელმწიფო დაფინანსების ქვეშ მყოფი) გუნდების მოტივაციას, გააქტიურებას, მათ მიმართ ყურადღებასა და ხელშეწყობას.

როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, ხელოვნების მხარდაჭერა და ყველა იმ ადამიანის პატივისცემა, ვისი ღვაწლიც განსაკუთრებულია ქართული კულტურის განვითარებაში უმნიშვნელოვანესია.

„ახალგაზრდა თაობას უდიდესი წვლილი შეაქვს ქართული ხალხური სიმღერის, საგალობლების პოპულარიზაციასა და ჩვენი კულტურული ტრადიციების შენარჩუნებაში. სწორედ ამიტომ, დედაქალაქის საკრებულო და მერია ყოველთვის მხარს დაუჭერს საქმეს, რომელიც მომავალი თაობის აღზრდას და კულტურის პოპულარიზაციას ემსახურება“, - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

2024 წელს, თბილისის ბავშვთა ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობენ ანსამბლები: „შოდა“; საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ანსამბლი “მარულა“; ,,იბერია“; რევაზ შანიძის ქართული ტრადიციული მუსიკის სტუდია; ანსამბლი „ფშავრობი“; ვაჟთა ფოლკლორული გუნდი „ერქვანი“; ანსამბლი „მეიდანი“; სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიასთან არსებულ კულტურულ ცენტრ „ჰაიარტუნის“ მედუდუკეთა ანსამბლი; ანსამბლი „იაკამი“ და მეექვსე საავტორო სკოლის ანსამბლი.

- ## სკოლა-ლიცეუმის "პრომეთეს" მოსწავლეების ვიზიტი

თბილისის საკრებულოში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, გურამ ოქროპირიძემ სკოლა-ლიცეუმის "პრომეთეს" მოსწავლეებს, პედაგოგებსა და საგანმანათლებლო პროექტის "სამართლის კარის" ორგანიზატორებს უმასპინძლეს.

საკრებულოს წევრებმა მოსწავლეებთან წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის შესახებ ისაუბრეს.

„შეხვედრის მიზანი მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება იყო, მათი ინფორმირებულობის გაზრდა მუნიციპალიტეტის საქმიანობის, თვითმმართველობის ინსტიტუციის როლსა და დანიშნულებაზე, ახალგაზრდული პროგრამების და სერვისების მიწოდების მიმართულებით“, - განაცხადა კახა ლაბუჩიძემ.

საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონია

სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში 2024 წლის საპატიო თბილისელები დაჯილდოვდნენ. საზეიმო ღონისძიებას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს უმრავლესობის წევრები ესწრებოდნენ.

„თბილისობა 2024“-თან დაკავშირებით გამართულ საზეიმო მიღებას პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა კაბინეტის, პარლამენტისა და საკრებულოს წევრები, ხელოვანები, სპორტსმენები, მეცნიერები და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დაჯილდოების ცერემონიალზე დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ, თითოეულ მათგანს თბილისის სიმბოლური გასაღები და სიგელი გადასცა.

2024 წელს თბილისის საპატიო მოქალაქეები გახდნენ: ზურაბ კახაბრიშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და სპორტსმენი. მერაბ კილაძე - ექიმი, ქირურგი. გიორგი ჭუმბურიძე - ექიმი, ქირურგი; ორთოპედ-ტრავმატოლოგი. დიმიტრი ბეზარაშვილი - ექიმი, ალერგოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. თენგიზ გაჩეჩილაძე - პედაგოგი, ჟურნალისტი. გიზო გაბესკირია - რეჟისორი. გვანჯი მანია - გეოგრაფი, მეცნიერი, ჟურნალისტი. ბიძინა სონღულაშვილი - ინჟინერი, მეტროს მუშაკი. ნათელა ვასაძე - პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. გელა ფარჩუკიძე - დირიჟორი, მაესტრო და პედაგოგი. თეიმურაზ ლეჟავა - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ნელი სალაძე - მწვრთნელი, სპორტსმენი. მზია აფრიდონიძე - მუსიკოსი, მხატვარი. გურამ ბათიაშვილი - დრამატურგი, მთარგმნელი, მწერალი-პუბლიცისტი. კახა ქორიძე - არქიტექტორი, მსახიობი. ოლესია თავაძე - მხატვარი. გოგი მარგველაშვილი -რეჟისორი, პროფესორი. თამაზ გოდერძიშვილი - დრამატურგი, მთარგმნელი, მწერალი, სცენარისტი. ვახტანგ ცუხიშვილი - არქიტექტორი. ზურაბ ყიფშიძე - მსახიობი. გურამ კალანდაძე (ტურკეცა) - გეოლოგი. ნელი კობიაშვილი - ჟურნალისტი,მწერალი. გივი სიხარულიძე - მსახიობი, მწერალი, მოცეკვავე, სპორტსმენი. ნელი ბერაია - მხატვარი, ჟურნალისტი. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. ვილი სანიოლი - ფეხბურთელი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი.

- ### თბილისში ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების ფოლკლორული ფესტივალის მონაწილეების დაჯილდოება

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალის მონაწილეები დააჯილდოვეს.

შემოქმედებითი საღამოს მონაწილეებს ჯილდოები და სიგელები დედაქალაქის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კახა ლაბუჩიძემ და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ თინათინ ნიბლოშვილმა გადასცეს.

ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალი, თბილისის მერიის დაფინანსებითა და დედაქალაქის საკრებულოს მხარდაჭერით, უკვე მესამედ ტარდება და მიზნად არასახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი თბილისის ბავშვთა ფოლკლორული გუნდების ხელშეწყობას ისახავს. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელები ანსამბლ ,,შავნაბადას“ ხელმძღვანელი, ლოტბარი დავით ცინცაძე და ანსამბლ ,,საგალობელის“ ხელმძღვანელი, ლოტბარი მაია მიქაბერიძე არიან.

როგორც ღონისძიებაზე საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახა ლაბუჩიძემ განაცხადა, თბილისი არის მულტიკულტურული, მულტიეთნიკური ქალაქი და მნიშვნელოვანია, რომ წელს ფესტივალში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ფოლკლორული ანსამბლები კვლავ მონაწილეობენ.

- ### სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრის 50 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება

საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრის 50 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

შემოქმედებითი საღამო სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრის ინიციატივით და თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის მხარდაჭერით შედგა.
საიუბილეო ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ტყემალაძე, მერის მოადგილე ანდრეა ბასილაია, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე და სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მიხეილ მრევლიშვილი.

თბილისის საკრებულოში გამართულ ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო 50 წლის მანძილზე შეგროვებული უნიკალური ფოტოარქივი, რომელიც ასახავდა თეატრის ისტორიას „მეტეხის თეატრიდან“ მოყოლებული დღემდე.
ღონისძიების დასასრულს ღვაწლმოსილ თეატრალებს და ერთ ახალგაზრდა რეჟისორს სანდრო მრევლიშვილის სახელობის ჯილდო გადაეცათ.

მემორიალური დაფების გახსნის ღონისძიებები

- ### არამ ხაჩატურიანის მემორიალური დაფის გახსნა

2023 წლის 27 ნოემბერს თბილისის საკრებულოს მხარდაჭერითა და საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოს ინიციატივით, თბილისში, ცნობილი კომპოზიტორის, არამ ხაჩატურიანის მემორიალური დაფა გაიხსნა.

აბრა უზნაძის ქუჩა #93-ში მდებარე შენობაზე განთავსდა, სადაც არამ ხაჩატურიანი 1906-1922 წლებში ცხოვრობდა. აღნიშნული საკითხი თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა და მას დადებითი რეკომენდაცია მისცა.

ცნობილი კომპოზიტორის მემორიალური დაფა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ და საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის ელჩმა აშოტ სმბატიანმა გახსნეს.

- ### ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფის გახსნა

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით და სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის თანადგომით, ცნობილი ხელბურთელის, ჯემალ ცერცვაძის, მემორიალური დაფა მისი საცხოვრებელი სახლის ფასადზე გაიხსნა. ფენომენალური ტექნიკის მქონე ქართველი ხელბურთელი ჯემალ ცერცვაძე 1968 წელს მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონი გახდა. იგი მონაწილეობდა სამ მსოფლიო ჩემპიონატში და სამჯერ იყო შეყვანილი მსოფლიოს ნაკრებში. ჯემალ ცერცვაძეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ხელბურთის განვითარების საქმეში. მანვე მსოფლიოში პირველი ოლიმპიური რეზერვის ხელბურთელთა უნიკალური სკოლა დააარსა, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს.

- ### იასონ ლორთქიფანიძის მემორიალური დაფის გახსნა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კვირეულის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივითა და თბილისის განათლებისა და კულტურის კომისიის მხარდაჭერით, დღეს იასონ ლორთქიფანიძის მემორიალური დაფა გაიხსნა.

მემორიალური დაფა ა. ფურცელაძის #12-ში მდებარე შენობაზე განთავსდა, სადაც იასონ ლორთქიფანიძე 1917-1949 წლებში ცხოვრობდა. აღნიშნული საკითხი თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა და მას მხარი სრულად დაუჭირა.

იასონ ლორთქიფანიძის მემორიალური დაფა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია თურნავამ გახსნეს.

მემორიალური დაფები

განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ, საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა შემდეგი მემორიალური დაფების განთავსების საკითხი:

I. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა მოქალაქემ, ოთარ კიკილაშვილმა რომელმაც მოითხოვა ქალაქ თბილისში, როდენის ქ. 4-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ომში დაღუპული მებრძოლის, მიხეილ ქორიძის მემორიალური დაფის განთავსება.

განმცხადებლის ინფორმაციით, მიხეილ ქორიძე დაიბადა 1971 წლის 14 აგვისტოს თბილისში. 1988 წელს დაამთავრა თბილისის 58-ე საშუალო სკოლა. ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გაიტაცა რაგბიმ. მიხეილ ქორიძე მოხალისედ იბრძოდა გვარდიის სპეცდანიშნულების რაზმში. დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

2024 წლის 19 თებერვალს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული წერილი, კომისიამ მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

II. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა მოქალაქემ, სალომე კბილაშვილმა, რომელმაც მოითხოვა ქალაქ თბილისში, ლ. კბილაშვილის N6-ში მდებარე კერძო საცხოვრებელ სახლზე, მომღერლის, ლევან კბილაშვილის მემორიალური დაფის განთავსება. განმცხადებლის ინფორმაციით, ქართული ხალხური ფოლკლორისა და საესტრადო მუსიკის შემსრულებელმა, ლევან კბილაშვილმა, საესტრადო კარიერა 6 წლიდან, რობერტ ბარძიმაშვილის სტუდიაში დაიწყო. 2021 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა მუსიკალური ჯგუფი „PanGeo – ლ.კბილაშვილი“, რომელიც დაეფუძნა ქართულ ეთნომუსიკას.

2024 წლის 19 თებერვალს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული წერილი; წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №426 განკარგულებით, ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, თიანეთის გზატკეცილის მონაკვეთს მომღერლის, ლევან კბილაშვილის სახელი მიენიჭა, რის გამოც საგამონაკლისო წესით შესაძლებელია მემორიალური დაფის განთავსების საკითხის განხილვა. თბილისის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიამ მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

III. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა მოქალაქემ, დევი აბაშიძემ, რომელმაც მოითხოვა რ. აგლაძის N34-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორის დევი აბაშიძის მემორიალური დაფის განთავსება.

2024 წლის 23 აპრილს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი, კომისიამ

მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

IV. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა ელდარი ურგებაძემ, რომელმაც მოითხოვა ქალაქ თბილისში, თეთრიწყაროს N11-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ბერი გაბრიელ აღმსარებელის (ურგებაძე) მემორიალური დაფის განთავსება. განმცხადებლის ინფორმაციით, გაბრიელი (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, მართლმადიდებელ ეკლესიაში — წმ. ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი, ქართველი სასულიერო პირი (არქიმანდრიტი) და მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი იყო. 1995 წლის 2 ნოემბერს არქიმანდრიტი გაბრიელი გარდაიცვალა და მცხეთის დედათა მონასტრის სასაფლაოზე დაიკრძალა.

კომისიამ მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

V. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა ლილი ბაია ამაშუკელმა, რომელმაც მოითხოვა ქალაქ თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. N42-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე რეზო ამაშუკელის მემორიალური დაფის განთავსება.

განმცხადებლის ინფორმაციით, პოეტი და საზოგადო მოღვაწე რეზო ამაშუკელი იყო გალაკტიონ ტაბიძის, ვაჟა-ფშაველას, შოთა რუსთაველის, დავით აღმაშენებლის პრემიების მფლობელი; ქაქუცა ჩოლოყაშვილის ორდენის მფლობელი; დაჯილდოვებულია კავკასიაში მეგობრობის (ქართულ-ოსური მისიის) ვარსკვლავით (ღირსების ნიშნით); მიღებული აქვს შევალიეს წოდება; ალბერტ შვაიცერის მედალის მფლობელი; თბილისის საპატიო მოქალაქე; კომისიამ მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

VI. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას წერილობით მომართა საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოს თხოვნასთან დაკავშირებით, კერძოდ, მოქანდაკისა და მხატვრის, ერვანდ ქოჩარის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოს ინფორმაციით, ქ. თბილისში, პუშკინის №13-ში ცხოვრობდა სსრკ-ს სახალხო მხატვარი, სომხეთის სსრ სახელმწიფო პრემიის მფლობელი, ფერწერული ტილოების, ქანდაკებისა და წიგნების ილუსტრაციების ავტორი ერვანდ ქოჩარი. დღემდე ერევნის ერვანდ ქოჩარის სახლ-მუზეუმში ინახება მის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ქანდაკება და ასევე მიმოწერა ლადო გუდიაშვილთან, ელენე ახვლედიანთან, დავით კაკაბაძესთან.

2024 წლის 16 სექტემბერს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული წერილი, კომისიამ მსჯელობის შედეგად დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი და რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიაში.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საბჭო და კომისიები

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე აქტიურად მონაწილეობს დედაქალაქში მიმდინარე პროექტების გადაწყვეტის პროცესში და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შემდეგი კომისიებისა და საბჭოების წევრად არის წარმოდგენილი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის საუკეთესო წინადადების შესარჩევი საკონკურსო კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თეატრალური პროექტების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სფეროს პროექტების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული სფეროს პროექტების განმხილველი კომისია;
- პროგრამის - „შემოქმედებითი თბილისი“ - ფარგლებში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების განმხილველი კომისია.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების (გერბი და დროშა) ნიმუშების შესარჩევი კომისია

კორესპონდენცია და მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ შეისწავლა და რეაგირება მოახდინა დაახლოებით 905 საკითხსა თუ განცხადება-კორესპონდენციაზე.

საანგარიშო პერიოდში, კახაბერ ლაბუჩიძე მოქალაქეებთან საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებდა სხვადასხვა ონლაინ პლატფორმას, მათ შორის - სოციალურ ქსელს. მოქალაქეების მიღება სისტემატურად ხდებოდა როგორც სამაჟორიტარო ბიუროში, ისე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

კახაბერ ლაბუჩიძის, როგორც ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის საქმიანობის ანგარიში

კახაბერ ლაბუჩიძე, როგორც საკრებულოში ისნის რაიონის მაჟორიტარი, ინტენსიურად (ოთხშაბათობით) განიხილავდა მოქალაქეთა განაცხადებს, რომლებიც შეეხებოდა: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის, ინფრასტრუქტურის, მიწის ნაკვეთის უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის საკითხებს. თითოეულზე, მაჟორიტარის მხრიდან, მყისიერად მომზადდა შესაბამის უწყებებთან შუამდგომლობა, რომლებიც დაიგზავნა საქალაქო სამსახურებთან, პროვაიდერ კომპანიებთან, კერძო სექტორთან.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური საკითხები					
	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	რეაგირების პროცესში	უარი
ერთჯერადი ფინანსური დახმარება	541	541	405	131	5
მედიკამენტებით უზრუნველყოფა	103	103	102		1
ოპერაცია	19	19	19		
გამოკვლევა	53	53	51		2
თერაპიული მკურნალობა	14	14	14		
სამშენებლო მასალები	4	4	2	2	
ბინის ქირა					
სარიტუალო მომსახურება	7	7	7		
შეშა	4	4	1	2	1

ისნის რაიონის გამგეობა					
	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	რეაგირების პროცესში	უარი
ასფალტის საფარის დაგება	1	1		1	
ნაპრალების შეკეთება	1	1		1	
მიმდებარე ტერიოტორიის მოპირკეთება	1	1		1	
გზის საფარის მოწყობა					
სკვერის მოწყობა	1	1		1	
ხის მოჭრა/გადაბელვა	2	2		2	
კიბის უჯრედების შეკეთება	1	1			1
წყლის საწრეტი მილების რეაბილიტაცია	1	1		1	

საქალაქო სამსახური					
	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	რეაგირების პროცესში	უარი
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური	5	5	1	4	
ქ.თბილისი მუნიციპალიტეტის მერია / ქ.თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო	6	6		6	
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია/ მუნიციპალიტეტის ლაბორატორია	2	2	2		
ქ.თბილისი მუნიციპალიტეტის მერია / ქ.თბილისის ჯანდაცვისა და სოც. მომსახურების სამსახური					
ქ.თბილისი მუნიციპალიტეტის მერია / გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური	3	3	1	2	
შპს "თბილსერვის" ჯგუფი					

პროვაიდერი კომპანიები					
	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	რეაგირების პროცესში	უარი
სს "თელასი"	13	13	2	11	
შპს "თბილისი ენერჯი"	50	50	7	43	
შპს "ჯორჯიან ვოუთერ ენდ ფაუერი"	46	46	18	27	1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო					
	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	რეაგირების პროცესში	უარი
საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია	1	1		1	

სხვა სახელმწიფო სტრუქტურები					
	მოგვმართა	გაეწია შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	რეაგირების პროცესში	უარი
შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო	1	1		1	
სოციალური მომსახურების სააგენტო					
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	2	2		2	

02.11.2023 დან 15.10.2024 ჩათვლით მიღებაზე მოსული ბენეფიციარის რაოდენობა	369